


ZE GAVLENA

ISSN 2667-9728 (Online)

RAV• art review 07.2022





მე პაპი

ჩანს • ანს მონტინი 07.2022

----- სიამაღ გეიანი - რეცეცხვადე იპრემადე რეცეცხვადე - რეცეცხვადე -----

შინაარსი content



PRESENTS

ლილოში ხელოვნება

4

დავით ჩიხლაძის პოეტური ალუზია და პერფორმანსის თეატრი მარგო



PRESENTS

IN CONVERSATION WITH ARTIST

10

David Chikhladze Poetic Allusion and MARGO Performance Theatre



PRESENTS

ისტორიული რაკურსი

15

XX საუკუნის 80-90-იანი წლები და ქართული თანამედროვე ხელოვნების აქცია-პერფორმანსის საწყისები



PRESENTS

HISTORICAL PERSPECTIVES

20

80-90s of the XX century and the beginnings of Georgian contemporary art action-performance



PRESENTS

ხელოვნებათმცოდნის ბლოგი

24

მარიაშ შერგელაშვილი პერფორმანსული აქტი: ცხოვრება როგორც ხელოვნება და პირიქით...



PRESENTS

BLOG BY AN ART HISTORIAN

27

Mariam Shergelashvili
Performative Act:
Life as Art and Vice Versa



PRESENTS

კერპორაენსი დღეს

31

ინტერვიუ ანდრო დადიანთან

წარდგენა:

ჯგუფი ბულიონი

36

უტა ბეკაია

38

ნადია ტსულუკიძე

40



PRESENTS

PERFORMANCE TODAY

42

Interview with Andro Dadiani

Presenting:

Boullion Group

47

Uta Bekaia

49

Nadia Tsulukidze

51

ესაუბრა
მარიამ შერბელაშვილი

ლილოზი ხალოვათაძე

დავით ჩიხლაძის კოედიური ალუზია და პერფორმანსის თეატრი

მარიამ



მ.შ. პოეზია და პერფორმანსი. ცხოვრების ნებისმიერი ეტაპი, რაც დროში განგრძობადია შეიძლება იყოს პერფორმანსი. მანქანების რიგი, რომელიც ხიდზე გადის, ბავშვების ხმაური ანუ ცხოვრების დინამიკაში ნაპოვნი პოეტური ჩანართი. ჩვენი თანამშრომლობაც თეატრში სულ ამ გრძნობას აღვიძებს, თითქოს ის რაც მიძინებული და რუტინაში გათქვეფილია, ამ ერთობლივ მუშაობაში მედაპირზე ამოდის. რომ გაიხსნოს ის პირველადი პროცესები, რაც გახდა დავით ჩიხლაძისთვის პოეზიასთან მიახლოების საწყისი, როგორც ერთგვარი პერფორმატიული აქტი. რა არის შენთვის პოეზიასთან მიახლოების პირველწყარო?

დ.ჩ. ფიქსირებული პირველი იმპულსის დადგენა თითქოს რთულია. ჩემთვის ეს არ იყო გაცნობიერებული მდგომარეობა. მაინცდამაინც არ მქონდა კონკრეტული მიდრეკილება, უფრო თა-ვისთავად და უბრალოდ გაჩნდა პოეზიის სიყვარული. ძალიან მიყვარდა კითხვა ადრეული ასაკიდან

და კითხვის სიყვარულმა განაპირობა, რომ ამ ველში, პოეზიის სივრცეში რაღაც გამევეთებინა. ჩემთვის პოეზიის საწყისი ალბათ მაინც შეუცვლელი ბავშვობისდრო-ინდელი განწყობაა, რომელმაც ესთეტიკური აღმაფრენა გამოიწვია ჩემში და ეს ცირკს უკავშირდება. ჩემს წარმოდგენაში ცირკი აერთიანებს პოეზიას და თეატრს. ცირკში არის პოეტურობა და ბავშვური უშუალობაც და წარმოდგენის სადღესასწაულო, საზეიმოდ დაწყების მომენტი. ანტიკურ ეპოქაში ის აკრობატული თამაშების მოედანი – ღვთაებრივისა და ადამიანურის დამაკავშირებელი ადგილია. ტერტულიანეს თანახმად პირველი საცირკო თამაშები კოლხიდელმა ქალღმერთმა ვირკემ, იგივე, ცირცვამ დადგა და ისინი საკუთარ მამას, მზის ღმერთ ჰელიოსს მიუძღვნა. ცირკი არის ფუძე ცირკულარულობის, წრიულობის, არენის, მაგიური საკრალურობის, ასევე, ეკლესიის - ვირხე, kirche (გერმ.), ცერკოვ, (რუს.), ჩერჩ, church (ინგ.). ცირკულარულობა, წრეში განხორციელებული ქმედება, განმეორებადობა ის მდგომარეობებია, რომელთა მეშვეობით სახალისო ექსტაზს აღწევ და ყოველდღიურობის რუტინას

შორდები. ეს მოლოდინი, დაძაბულობა პირველად ცირკში შევიგრძენი, სადაც ხშირად მამასთან ერთად დავდი-ოდი. არაცნობიერად ახლაც ამას ვიკლევ. ცირკთან ერთად მეორე ფაქტორი, რომელმაც ჩემს არტისტად ჩამოყალიბებ-ბაზე გავლენა იქონია ეს არის მულტფილმი. მესამე ფაქტორი შემძლია დავასახელო სატირულ-იუმორისტული ჟურნალი "ნიანგი", გადმოცემით ბუბიასგან ვიცოდი "ნიანგის" წინაპარი "ტარტაროზი" და აქედან გამომდარდა დაინტერესება. ბუბიის ფიგურაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ის იყო ქალი, რომელმაც უშალოდ იცხოვრა ავანგარდის პერიოდში. მისი გარეგნობა, ნეპის სტილი, ჩემს განწყობაში შეუცვლელ სახე-ხატად ფორმირდა და ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. პოეტური გააზრების საწყისებზე ფიქრისას მეოთხე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო თოჭინების თეატრი, რაც ასევე ბავშობიდან განსაკუთრებულად მიყვარდა. ხშირად დავდიოდი არტოს ბაღში, სადაც იყო ქართული თოჭინების თეატრი. ხელოვნებასთან ზიარების ეს ოთხი კომპონენტი ჩემთვის გარდამტეხი აღმოჩნდა. ჯერ კიდევ 9 წლის ვიყავი, როდესაც მომინდა მულტფილმის გადაღება. ავაგე დეკორაცია, მოვანყე გარემო, სადაც თოჭინას უნდა გაეგლო. როდესაც გავამუდავე ეს პირველი ფირი, უკვე მივხვდი რომ თვითონ კინოფირი მაინტერესებდა. ეს არ იყო კინოს გადაღების სურვილი, უფრო მეტად ურთიერთობის სურვილი და ინტერესი კინოფირთან, როგორც მასალასთან. აი ამ ოთხ დარგთან ურთიერთობით დაიბადა ჩემში მეტაფორის შეგრძნება. მეტაფორა ცოცხლდება ცირკში, თოჭინების თეატრში, მულტფილმში და იუმორისტულ ნახატში და ის სრულიად რეალისტურად აღიქმება. პერფორმანსის თეატრს, სფეროს, რომელშიც არაა სიუჟეტი და სადაც წამყვანია ფრაგმენტულობა, წრიულობა, ფაქტურა, მასალა, არადრამატული ცნობიერება და შინაარსი და მედიტაციურობა თავისი სპეციფიკით ჩემთვის სწორედ შემოადინიშნულ დარგებთან კავშირდება. ცირკით გატაცება ჯერ კიდევ ავანგარდის პირველ ეტაპზეც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მეირხოლდთან მომუშავე არტისტები ცირკის მსახიობები ხდებოდნენ, რადგან ეს ფორმალიზმი, ფორმის ძიება მნიშვნელოვანი იყო მათთვის. დადაისტურ ნახატებშიც არის ერთგვარი ჟონგლიორობა ფორმებით, ბგერებით, ზღანევიჩის შემოქმედებაშიც ვხედავთ ამას, მის ნამუშევრებში თითქოს დაფრინავენ ასოები.



მ.შ. ეს ყველაფერი კავშირდება თამაშის ფენომენთან. თამაში, აბსურდულობა, დადაისტური ბალი რომ გავიხსენოთ, იქაც მძაფრადაა თამაშობის მომენტი. ეს შეგვიძლია გავიგოთ ისეც, რომ ეს თამაშობა ადამიანის მისწრაფებაა, რომელიც ხშირად არის განდევნილი ან რეპრესირებული. უფრო ფართოდ რომ განვიხილოთ, ხელოვნება თავის არსში თვითონ არის ამ თამაშობის რეაბილიტირება, ყველა მედიუმში ეს თავისებურად გამოიხატება - იქნება ეს სატირულ-იუმორისტული ჟურნალი, დადაისტური ნახატი, თუ რეალისტური ნატურმორტი, თუკი ის ამ თამაშობრივ დინამიკაზეა აგებული და შემოქმედებითობა გარკვეულ ძიებას ეფუძნება. ესეთ დროს, ძიება სრული უსაზღვრობაა რეალურსა და წარმოსახულს შორის. რეალური განცდის გამძაფრება კი ემპირიული მოვლენაა და გრძნობით სფეროს მოიცავს.

დ.ჩ. კი, ასეა. შენ რომ მკითხოთ თუ რატომ აღძრავდა ჩემში ცირკი და ის ფაქტორები, რაც განვიხილეთ, ამალღებულ განწყობას, გამიჭირდება ამაზე პასუხის გაცემა. მაშინ არც კათარზისი მჭირდებოდა, არც რე-პრესირების მომენტში ვიყავი, რად-გან ბავშვობის ფაზას გავდიოდი. ამდენად, ეს აღმაფრენა,

ზოგადად ადამიანში, შეიძლება არა კათარზისის პროცესის გამო ხდებოდეს, არამედ არსებობდეს ბუნებრივად და დავიწყებული იყოს, რომელ-საც შემოქმედებით გაიხსენებ. ეს დავიწყება, რა თქმა უნდა, უკავშირდება ზრდა-სრულობას, როდესაც ბავშვობიდან გამოსვლის ფაზა დგება. ამ დროს იწყება ახალი გამონვევები და ეს უკვე სქესობრივთან დაკავშირებული ბრძოლის არეალია. ეს თემა ხშირად არასრულფასოვნად ან მხოლოდ ჰათეტიკურად ან პორნოგრაფიულად განიხილება და არ გაიზრება სრული მასშტაბით. უპირველესად ეს ფსიქიკური ფენომენია, რომელიც თავისი მრავალმხრიანობით რიტუალურია და ამდენადვე ექსპერიმენტულიც. ესეთი გააზრება ჩემთვის ფიზიკურ თეატრთან და პერფორმანსთან დაკავშირდა, ესაა ის თემა, რომელიც ეროტიულობის, სამყაროს პირველყოფილი არქეტიპის კვლევას გულისხმობს თავის თავში.

მ.შ. ეროტიულობის საკითხი ჩემთვის ყველაზე დიდი მეტაფორაა, სისავსის განცდა, ბმა ბუნებასთან, ცხოვრებასთან. შენთვის როგორც ხელოვანისთვის რა როლს თამაშობს ეროტიულობა? ეროტიულობა და შემოქმედება - როგორ ერწყმის ეს ორი ფენომენი ერთმანეთს?

დ.ჩ. ხელოვნება, რაც უნდა აბსტრაქტული იყოს თავის ფორმაში, მომდინარეობს ადამიანისგან და ვაკუუმში არ არის, ანუ ცხოვრებას ფუნდამენტურად არ შორდება. ეროტიულობა თემატურად შეიძლება იყოს საინტერესო, ანდა სტრატეგიულად, იმ მიზნით, რომ ნამუშევარი იყოს ცოცხალი. აქ იგულისხმება არა პირდაპირი იმიჯებით, არამედ ენერჯის დონეზე გადაცემა. ხელოვნებაში ეროტიულობა სწორედ ამას ამბაფრებს და სიცოცხლეს ანიჭებს თავად ნამუშევარს. თუ ეს ჩახშობილია, ეს ჩახშობილია წინასწარი განზრახულობით, ცხოვრებაშიც ხშირად ხდება, რომ სიცილი, ბედნიერება, გულუბრყვილობა ხშირად არის ჩახშობილი. სიცილის ძალა ძალიან ძლიერია. არის დიონისური სიცილი, რომელიც ექსტაზის მომენტი, მთლიანად ითიშება რაციონალური გააზრება და ტრანსის მომენტი შემოდის. ამდენად, ეროტიული ცალსახად არ განისაზღვრება. ჩემთვის, როგორც ხელოვანისთვის, ეს საინტერესოა და აქტუალურია, როგორც დღევანდელითვის, ისე ზოგადად. არქეტიპული, საკრალური, წმინდა ფორმების ძიება საკუთარი თავის ძიებაა. ამის შეჯამებაა მისტერია და სიკვდილი. ხელოვანი ამ სამ ეტაპს გადის და მიყვება - ბავშვობის „ცირკს“, ეროტიულობას და სიკვდილის გზას. ეს სქემა ჩემ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა, შესაძლოა ადამიანი არცერთ ამ ეტაპს არ გაყვეს და დარჩეს კლიშეში, ზედაპირულობაში.

მ.შ. არქეტიპი ახსენე. მთელი რიგი ნამუშევრები არსებობს, რომელიც სხვადასხვა არქეტიპს მიუძღვნა. ერთადაც ვიმუშავებ ესეთი ტიპის პერფორმანსზე. ეს თანამედროვე მისტერიაა (ვდიქრობ, შეგვიძლია ასეც ვუწოდოთ), რომელიც თამაშდება თანამედროვე ექსპერიმენტული ძიებებით, არასქემატური ფორმით და ღია პლატფორმაა, რომელიც თავისუფალი შეგრძნების გაცოცხლების შესაძლებლობას აძლევს მნახველს და მონაწილესაც. ამ თემასთან როგორ მიხვედი? როგორ დააკავშირე ერთმანეთთან არქეტიპული ფაქტორი და პერფორმანსი? რა გზა გაიარე როგორც ხელოვანმა ამ მიმართულებით?

დ.ჩ. ყოველთვის მიზიდავდა პასტორალური ცხოვრების ამსახველი, უბრალო, არა-ეპატაჟური და არაპათეტიკური პოეზია. ლექსი უფრო ხშირად იყო უშუალო გრძნობებთან დაკავშირებული და ზუსტად ეს განწყობა, ეს უბრალოება მნიშვნელობდა ჩემთვის. ასევე მიგზავდა, რომ იმ დროში, როდესაც მე მიწვედა შემოქმედების სანყის ეტაპზე ყოფნა, ცხოვრებას აღარ გააჩნდა ესეთი მგრძნობელობა. მაგალითად, შოთა ნიშნიანიძე თავის დროებას სულ სხვა განწყობით აღწერდა, რომელიც, ცხადია, არ ჰგავს მე-18 საუკუნის ლიტერატურულ ენას და გრიგოლ ორბელიანის მსოფლგანცდას. მიგზავდა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია არამარტო ის თუ რას აღწერ, არამედ რომელ ეპოქაში ხარ და როგორი ენით მეტყველებ. ამდენად, მნიშვნელოვანია ფორმალისტური მხარე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გინდა რეალობას შეეხო. ამას როდესაც მიხვდი, ჩემთვის საინტერესო გახდა ლაბორატორიის ძიება - გამოკვლევა იმის, თუ როგორ და რატომ წერდნენ გერმანიაში, ამერიკაში დღევანდელი პოეტები. შემდეგ ვიკვლევდი, თუ რა იყო განმასხვავებელი დღევანდელიობასა და 40-იანი წლების პოეზიას





შორის. ეს იყო ძალიან საინტერესო პროცესი. სწორედ ამ ენობრივმა ძიებამ დამანახვა, რომ ჩვენ ყველანი ვართ აღმნიშვნელები. მაშინ რა არის ის აღსანიშნი, რომელსაც მუდმივად აღვნიშნავთ? აღსანიშნი, რომელიც მუდმივად მოუხელთებელია, ქრება, იცვლება? ეს საკითხი თავიდან ფორმალისტური ძიებით გახდა ჩემთვის საინტერესო, არა ტენდენციურად, მოდის გამო, არამედ სინამდვილესთან მიახლოების გამო. თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ დავინახე, რომ ესეთი ძიებები იქცა მექანიკურად კეთების ტენდენციად. ამიტომ, უცნაური ფორმების და პირდაპირი ეპატაჟის მიმართ პროტესტი გამიჩნდა.

თეატრშიც, ერთ პერიოდში გადავიხივე სხეულის, როგორც აღმნიშვნელის აღბეჭდვასთან. გადავწყვიტე ქალების, მათი ანტურაჟების, სახე-ხატების გადაღება, სადაც ეროტიული საზგასმული მუხტი იყო წინა პლანზე წამოწეული. თუმცა, ეს არ იყო არც გლამური, არც სიმბოლური, მაგრამ მძაფრი ეროტიულობა. სწორედ ამას მივანიჭე მაგიური მნიშვნელობა. მაგია და ეროტიკა დაკავშირებულია ერთმანეთთან და ეს დაკავშირება საზოგადოებრივი კლიშეების გარღვევას ემსახურება. მაგიური ეროტიულობით ინგრევა ქალის და ვაცის “გამოყენებად” სუბიექტებად აღქმა და შენ ამას აღიქვამ განყენებულად. ფოტოში ასახული ეროტიკა უკვე სხვა ბუფონადურ პლასტშია გადატანილი. ამ ძიებაში მივხვდი სწორედ, რომ დასასრული და არქეტიპი მაინტერესებს. მედეას არქეტიპთან მისვლაც ასე მოხდა. მსურდა რეალობასთან მისვლა, მაგრამ არა ნიშნისაღივლი უბრალოების ლირიკის გზით, არამედ უფრო გრძელ-ლი გზით, რაც მუდმივად ცვალებადი ენერჯიაა.

მ.შ.

როგორი უცნაური გზით შეიკრა შენს პასუხში პასტორალური, ბუნებრივი და მუდმივი. ხშირად ამგვარი აღქმა კულტურული სელექციურობის პროცესში ხელიდან გვისხლტება. თითოეულ პროცესს გაყინულად, დროითი დისტანციიდან აღვიქვამთ. შემდეგ ყველა თავის ჭრილში – ისტორიკოსი ისტორიულად, კულტუროლოგი თუ ხელოვნებათცოდნე თავისი მიდგომით კლასიფიცირებს ამ თუ იმ ეპოქებს, რაც ცხადია მნიშვნელოვანია, მაგრამ სინამდვილის მთლიანობა უკვე სხვაგვარად ისაზღვრება. ეს საერთოობა, რომელიც მუდმივად აზროვნების აქტიურ ველს წარმოშობს, ასახავს არა ტექნიკურ დროს, არამედ მუდმივს, მარადიულს. მაგრამ აქ პარადოქსულია პერფორმანსის მიმართება დროსთან. დროის გადავადების საკითხი პერფორმანსში პარადოქსულია, რადგან ის, რაზეც ნამუშევარში მუშაობ და კონცეპტირდები, დროის არანარმაველ მგრძნობელობას მიემართება და ამავდროულად დროში განწერილი და ერთჯერადია, არაგანმეორებადი აქტია, რომელიც სწორედ დროში გათამაშების ხარჯზე აღწევს გარკვეულ შედეგს, უწყვეტობას, დასასრულის და დასაწყისის არარსებობას, კულმინაციურობას. ცვალებადობა და წყვეტილობა, ამავდროულად, დაუსრულებელი შემოქმედებითი პროცესი, ხელოვნება, როგორც ცხოვრება. შენ როგორ ფიქრობ ამაზე, შენი შემოქმედების მაგალითზე?

დ.ჩ. დროსთან ამგვარი მიმართება პერფორმანსს მძაფრად ახასიათებს. მარადიული დრო ხელოვნების ყველა დარგს ახასიათებს და ამას შემოქმედი ყველა შემთხვევაში გრძნობს. დრო არის აქ მაკავშირებელი სწორედ. ეს მისწრაფება ცხადია მეც მაქვს ინტუიციურად ან გააზრებულად. როდესაც თეატრს ვაკეთებ მარადიული დრო არ მთავრდება ნამუშევარში ცხადია, მაგრამ არც ნამუშევრიდან ნამუშევარში არ გადადის. აქ მესამე ფაქტორია, რომელიც სპეციფიკურად თეატრალური ფაქტორი მგონია. ადამიანები, ვინც შენთან ერთად მონაწილეობენ აქ, ამ დროით შემოსამღვრულ პერფორმანსში, მხოლოდ ამ სიბრტყეში არ იკვებებიან, არამედ სხვა განზომილებაში თანაარსობრივად კავშირდებიან. აქ უკვე შემოდის მარადიული დროის, როგორც სიმბირისეული მოვლენის ფენომენი. ეს იწვევს საკრალურობის განცდას იმ ადამიანების მიმართ, ვინც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩემს შემოქმედებით საქმიანობაში. თითქოს აქ ინიცირება, ზიარება ხდება მიღმიერ სამყაროსთან.

თო სპექტრით ესაა ბანალურიდან საკრალურამდე ყოვლის-მოცველი ინტუიციური გააზრება, თავისუფალი ლავირების შესაძლებლობა, როგორც ნოლი, სიცარიელე, რომელიც ყველაფერს მოიცავს. მივხვდი, რომ ეს ძლიერი მისტიკური ძალაა და მასთან ურთიერთობა არაა მარტივი, რადგან ის სპექტრით მთლიანია და შენ მასთან სტატიკურად ვერ ურთიერთობ. ის სიმბოლო დაპირისპირებულობის, რომელიც მარგოს სიმბარში იყო, აისახა თეატრშიც. მამუკა ჯაფარიძემ ჩემთან თანამშრომლობით გააკეთა ესეთი ნამუშევარი, ორმხრივი ისრის ლოგოგრამა. ეს განვითარდა თეატრში ორი სცენის პრიცნცი-პის მეთოდით.

მ.შ. მახსენდება შენი საჯარო შეხვედრა, სადაც ასევე განიხილავდი არაფრის კონცეფციას. თეატრი, რომელიც არასიუჟეტური და არადრამატულია და არაფრისგან იქმნება. აი ამ კონცეფციამ რამ ვისაუბროთ.

დ.ჩ. ეს არაფრობა ძალიან საინტერესო ფენომენია. ის, რაც თითქოს არ გამახსოვრდება და ისე კეთდება. ზედმეტ პრეტენზიუ-



მ.შ. “ფემინინ/ფემინინ“-ის ავტორი და მარგოს პერფორმანსის თეატრის დამფუძნებელი ხარ. პერფორმანსის თეატრის, რომელიც სხვადასხვაგვარად ფორმირდება, ბევრ ადამიანთან ერთად. საინტერესოა, როგორ მოვიდა მარგო შენთან... ასევე, რა არის ეს ფემინურობა, რომელიც შენთვის იდეალიზირდება პერფორმანსში?

ლობას და ზემდებ პათეტიკას არ დებ არცერთ საგანში, რასაც იყენებ, ამგვარად, ხელისშემშლელ ბარიერებს არ აჩენ. ამას შეეხებოდა ჩემი საუბარი თემამზე “როგორ ვაკეთოთ თეატრი არაფრისგან, როდესაც მისი კეთება არ გვსურს”.

დ.ჩ. ეს მოხდა ძალიან კონკრეტულად, მარგო მოვიდა ჩემთან სიმბარში. მას ჰქონდა სვირინგი, ტატუირება ხელზე, რაც არ იყო იმ დროს აქტუალური. ეს ტატუირება იყო ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დაბოლოების მქონე ისრის სიმბოლო, რომელიც შემდეგ გამოვიყენე კიდევ ნამუშევარში. დამამახსოვრდა ეს დეტალი, სწორედ მან, ამ მისტიკურმა ახალგაზრდა გოგონამ მითხრა სიმბარში, რომ ის არის მარგო და მე უნდა გავაკეთოთ თეატრი, რომელიც მისი თეატრი იქნება. ამიტომ, როცა მე ვითხებოდიან დღეს, ვინაა მარგო, რეალური თუ გამოგონილი პიროვნებაა, მიჭირს პასუხის გაცემა. მარგო მარგარიტაა, იგივე, ზღვის მარგალიტი, მარგალიტი კი აფროდიტესთანაა დაკავშირებული. თვითონ ფუძე “მარ” - ზღვასთანაა დაკავშირებული. ქრისტიანობის დროიდან აფროდიტეს სახელი ჰელაგას სახელით შენიღბეს, მაგრამ „მარ“-თან დაკავშირებული სახელები კი უცვლელად დარჩა. მარგარიტა თავისთავად მისტიკური სახელია. ოსტატი და მარგარიტა ბულგაკოვს შემთხვევით არ აქვს გამოყენებული. რაც შეეხება ფემინურობას - ფარ-

მ.შ. როგორია მარგოს პერფორმანსის თეატრის ფორმირების ეტაპები?

დ.ჩ. ფორმირება უკავშირდება სხვადასხვა ისტორიულ ეტაპს. პირველი მეთოდი იყო ორი ურთიერთსაწინააღმდეგო სცენის მომენტი, მეორეს მხრივ კი, როდესაც ერთიანდება სცენა და არენა. ეს ამბოლებს მაყურებლის პერიფერიულ ყურადღებას, რაც მას მეტი აღქმის შესაძლებლობას აძლევს. ერთ ნამუშევარში ურთიერთ საწინააღმდეგოდ მოთავსებული ორი სცენა უბრალოდ ორი დრამერით შევცვალეთ და ეს ასევე იწვევდა პერიფერიული, არა მხოლოდ ერთი მხარეს კონცენტრირებული ყურადღების გახსნას. შემდეგ, ამავე პერიოდში მოგვიჩინა, რომ დასაწყისი და დასასრული გავეუქმებინა. ეს იყო “ავტოგოდო”, ნამუშევარი, რომელიც აგებული იყო მუდმივ დასასრულზე. ნებისმიერი მსახიობის ყველა მოქმედება იყო დასასრული, ამ მგრძობელობის მქონე. ეს უკიდურეს დაძაბულობას ქმნიდა. შემდეგ გავაკეთეთ “მარგო არენა-2”, უკვე მუდმივ დასაწყისებზე აგებული. აქ ასევე ინტეგრირებული იყო ვიდუო პროექცია, ნითელი ნეონების განათება, ცეცხლი. ეს

არის პირველი პერიოდი. შემდეგ წავედი ამერიკაში და როდესაც დავბრუნდი, სამი წლით მუშაობა გავაგრძელე ბალეტის სკოლაში. აქ იგივე ხასიათი აღარ ყოფილა, ორი სცენის კონცეფცია აღარ მოქმედებდა. ამ პერიოდის მუშაობა იყო უფრო ეტიუდური ან მედიტაციური. არ მომინდა, რომ მხოლოდ ბალეტინებთან მემუშავა, ამ პერიოდში გავეთდა ნამუშევარი „ომ მანი ჰადმე ჰუმ“, სადაც არა ბალეტის პერფორმერები ალევო შულაძე და ზურაბ რთველიაშვილიც მონაწილეობდნენ. ჩემთვის ამ დროს საინტერესო იყო არა ის პრესტიჟულობა, დაკავშირებული კლასიკურობასთან, რომ ბალეტის სკოლაში ბალეტინებს ვემუშავებ, არამედ ჩემი ინტერესი იყო ექსპერიმენტის გაკეთება მათთან კავშირში. შემდეგ იყო ამერიკაში ყოფნის პერიოდი, სადაც დიდწილად ამ გამოცდილებების გაზიარებას ან მოდიფიცირებას ვახდენდი იქ გაკეთებულ ნამუშევრებში. მარგოს იქ მე წარმოვადგენდი და ესეთი ფორმით იქ აგრძელებდა განვითარებას. უფრო გამოიკვეთა ის ხასიათი, როგორც არის „ჰეფენინგური კლოუნადა“, გარკვეულ სტრუქტურაზე აგებული თამაშობრივი მოქმედებები. შემდეგ, როდესაც დავბრუნდი, სამხატვრო აკადემიაში ვაგრძელებდი მარგოს ახალი ჯგუფის ფორმირებას, მაგრამ სრული დატვირთვით მუშაობა არ გავგრძელებულა, რადგან სწრაფი ადაპტირება გამიჭირდა. მოგვიანებით ამერიკიდან ჩამოვიდნენ ჩემი მეგობრები, ნიკ ფრაკარო და გაბი შაფერი, ერთობლივად დავიწყეთ ნამუშევრებზე მუშაობა და ეს წყვეტა შემსუბუქდა, მაგრამ მაინც არ იყო თეატრი ინტენსიურ სამუშაო პროცესში. 2020 წლიდან შეიქმნა ახალი ჯგუფი და ამ დროიდან, შეიძლება ითქვას, რომ იწყება მარგოს რენესანსი, სრული მასშტაბით არის განახლებული ყველა სტრატეგია და მეთოდური მუშაობა.

მ.შ. შენთვის რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი ნამუშევარი?

დ.ჩ. ყველა ნამუშევარი, რაც 2021 წელს გავეთდა. კიდევ სხვა მო-

მენტია მარგოს ჩამოყალიბების პირველი ეტაპი და ის სილაღე და ენთუზიაზმი, რაც 90-იანებში იყო. მაგრამ, გარდამტეხი ფაზა მაინც დღევანდელობას უკავშირდება. პოეტური კონცეფციის კუთხით გამორჩეულია „მედვას მედიტაციები“, რომელმაც ისეთი მიმართულება განავითარა, რასაც მას მერე აქტიურად მივყვებით. ამ ტალღას აგრძელებს „აფროდიტეს ჩემიტქმა“ და მიმდინარე ნამუშევარიც, რაზეც ეხლა ვმუშაობთ. 2020 წლიდან დაწყებულმა გეზმა სრული სახით მოახდინა პერფორმანსის თეატრის რეაბილიტაცია და აჩვენა სხვადასხვა ექსპერიმენტული ძიებები. ბოლო დროის ნამუშევრიდან ასევე გამორჩეულია 2020 წელს თბილისის ონლაინ ბიენალესთვის თბილისის ზღვაზე განხორციელებული ნამუშევარი „ახალი საუკეთესო მარტივი ცხოვრება“, რომელიც კარანტინის გამო მხოლოდ ვიდეოს სახით დარჩა და ცოცხალი განხორციელება არ შედგა. ადრეული პერიოდის მნიშვნელოვან ნამუშევრებად მიმაჩნია ფსევდოფინალეების და ფსევდოდასაწყისების ნამუშევრები.

მ.შ. დავით ჩიხლაძის პოეტური კრეფო პერფორმანსის თეატრთან მიმართებით.

დ.ჩ. როგორ გადადის არსებული არარსებულში, ეს ჩემთვის ყვედიანი და მტკივნეულია, ისევე, როგორც ალბათ ყველასთვის. დრო, რომელიც შლის ძალიან ძვირფასს, რაში გადადის ეს ანაბეჭდები. ეს მომენტებია ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი. სად არის ეს ზღვარი და რა ნიშნებში რჩება. არსებობიდან დარჩენილი ამ ნიშნების და აღმნიშვნელების ძიება ჩემი ყველაზე მთავარი კრეფო.

მ.შ. თავისუფლება რა არის შენთვის?

დ.ჩ. თავისუფლება ძიებაა, საკუთარ თავთან შეხვედრა და საკუთარი თავის პოვნის გზებზე უარის ართქმა.



David

Chikhladze's

poetic allusion &

MARGO

performance theatre

In conversation with Mariam Shergelashvili

Poetry and performance. Any stage of life that is continuous in time can be a performance. A line of cars crossing a bridge, children being noisy, or poetic inserts found in the dynamics of life. Our cooperation in theater always evokes this feeling – as if the passive, the lost in the routine come to the surface with joint effort. Can you recall the initial processes that brought David Chikhladze close to poetry as a performative act? What is the origin of your initial draw to poetry?

Finding the first fixed impulse is difficult. This was not a conscious state for me. I did not have a concrete draw, the love for poetry came by itself and casually. From early childhood, I loved to read, which determined my closeness to poetry. For me the origin of my interest in poetry is probably the irreplicable childhood memory that evoked an aesthetic soar in me and is connected to the circus. In my imagination, circus unites poetry and theater. Circus has poetry and childlike immediacy, as well as the moment of a festive, celebratory start to the performance. In the antique times it is the arena of acrobatic games – connection of divine and humane. According to Tertullian, the first circus games were staged by the Colchis goddess Kirke, also known as Circe, and they were dedicated to her own father, the sun god, Helios. Circus is the basis for circulation, circularity, arena, magical sacrality, as well as church – kirche in German, церковь in Russian. Circularity, an action carried out in a circle, reiteration – these are the states which help you reach a fun ecstasy and distance you from the routine. I felt this expectation, the tension for the first time in the circus, where I often went with my father. Unconsciously I still explore it. The second factor, alongside the circus, that influenced my formation as an artist is the cartoon. The third factor can be the satirical-humorous journal "Crocodile". I had heard about the predecessor of "Crocodile" – "Tartarozhi" from my grandma, which deepened my interest.




The grandmother figure was also very important for me. She was the woman who lived first-hand in the Avant-garde period. Her appearance, the NEP style formed an irreplaceable image in me and left an indelible impression. A fourth important factor in thinking about the beginnings of poetic understanding was puppet theater, which I also especially loved from childhood. I often went to Arto Garden, where there was a Georgian Puppet Theater. These four components of communion with art turned out to be a turning point for me. I was only 9 years old when I wanted to make a cartoon. I built the scenery, arranged the environment where the doll would go. When I developed this first film, I realized that I was interested in the film itself. It was not a desire to make a film, but a desire for a relationship and an interest in filmmaking as a material. It was in relation to these four fields that a sense of metaphor was born in me. The metaphor comes to life in the circus, in the puppet theater, in the cartoon and in the humorous drawing, and it is perceived as completely realistic. The performance theater, a field in which there is no story and where the lead is taken by the fragmentary, circular, textured, material, non-dramatic consciousness and content and meditation with its specificity, for me is connected with the above-mentioned fields. The passion for the circus was very important even in the first stage of the avant-garde. Artists working with Meyerhold became circus actors because this formalism, the search for form was important to them. There is a kind of juggling in forms and sounds in Dadaist paintings as well, we see this with Zdanevich, as if letters are flying in his works.

All of this is connected with the phenomenon of play. Play, absurdity, the Dadaist ball where these aspects are prominent. It can also be understood that this play is the aspiration of a person which is often expelled or repressed. Broadly speaking, art in itself is the rehabilitation of this game, it manifests itself in every medium - be it a satirical-humorous magazine, a Dadaist painting, or a realistic still life, as long as it is built on these playful dynamics and creativity is based on a certain quest. In this case, the search is a complete boundlessness between the real and the imagined. Intensification of real feelings is an empirical occurrence and involves the emotional realm.

Yes, this is the case. If you asked me why the circus and the other factors evoked heightened feelings for me, I would find it hard to respond. Back then, I did not need catharsis, nor was I in the state of repression, because I was going through the childhood phase. Thus, this ascension, in people generally, may not occur due to the process of catharsis, but may exist naturally and be forgotten, which you can remember through creativity. This forgetfulness, of course, is related to adulthood, when the phase of leaving the childhood begins. New challenges appear at this time and this is already an area of a sexual struggle. This topic is often examined incompletely or only pathetically or pornographically and is not fully comprehended. First of all, it is a mental phenomenon, which is ritualistic and thus experimental in its complexity. Such an understanding for me has to do with physical theater and performance, it is a topic that involves the study of eroticism, the primordial archetype of the universe in itself.

The topic of eroticism is the biggest metaphor for me, the feeling of fullness, ties with the nature, with life. What role does eroticism play for you as an artist? Erotic and creativity – how to these two phenomena flow together?

Art, no matter how abstract in its form, comes from man and is not in a vacuum, that is, it does not fundamentally move away from life. Eroticism can be interesting thematically, or strategically, with the aim to make the work alive. I mean with not direct images, but with energy. Eroticism in art intensifies this and gives life to the work itself. If it is suppressed, it is done so with premeditated intent, it often happens in life that laughter, happiness, naivety are often suppressed. Laughter has great power. There is a Dionysian laugh, which is a moment of ecstasy, the rational understanding is completely extinguished and the moment of trance sets in. Thus, eroticism is not uniquely defined. For me, as an artist, this is interesting and relevant, both for today and in general. The search for archetypal, sacral, sacred forms is the search for oneself.



The summary is mystery and death. The artist goes through these three stages and follows them - the "circus" of childhood, eroticism and the path of death. This scheme is very important in my case. However, a person may not follow any of these stages and remain in a cliché, on the surface.

You mentioned archetype. There are numerous works that you dedicated to different archetypes. We even worked together on such a performance. This is a modern mystery (I think we can call it that), which is played out with contemporary experimental search, non-schematic form and is an open platform, which gives the viewers and participants the possibility to evoke feelings of freedom. How did you arrive to this theme? How did you connect archetypal factor and performance? What path did you take as an artist in this direction?

I have always been attracted to poetry depicting pastoral life, poetry that is simple, modest, non-pathetic. The verse was more often related to direct feelings and it was precisely this mood, this simplicity that was meaningful to me. I also realized that at a time when I needed to be in the early stages of creativity, life no longer had that kind of sensitivity. For example, Shota Nishnianidze described his time with a completely different attitude, which, obviously, does not resemble the literary language of the 18th century and the worldview of Grigol Orbeliani. I realized that it is very important not only what you describe, but also what era you are in and what language you use. Thus, the formalistic side is vital, especially when you want to touch on reality. When I realized this, it became interesting for me to search for a laboratory - to study how and why contemporary poets wrote in Germany and America. Then I explored what was the difference between the present and the poetry of the 40s. It was a very interesting process. It is this linguistic search that has shown me that we are all signifiers. Then what is the sign that we are constantly signifying? This issue became interesting to me from the beginning with a formalistic search, not because of trend, but because of the approach to reality. However, after some time I noticed that such searches turned into a tendency of doing it mechanically. Therefore, I developed a sense of protest against the strange shapes or direct outrageousness.

Even in the theater, at one point I moved on to imprinting the body as a signifier. I decided to shoot women, their entourage, face-icons, where an erotic accent spark was brought to the fore. However, this was neither glamour, nor nudity, but intense eroticism. This is exactly what I gave magical importance to. Magic and eroticism are intertwined,

and this connection serves to break public clichés. Magical eroticism destroys the perception of woman and man as "usable" subjects, and you perceive them as ab-stract. The eroticism shown in the photo has already been transferred to another slap-stick layer. In this search, I realized that I am interested in the end and the archetype. This is how I happened upon the Medea archetype. I wanted to arrive to reality, but not through a Nishnianidze-like lyrical simplicity, but through a longer path that is an ever-changing energy.

The pastoral, natural, and constant came together in a strange way in your response. Often such perceptions are lost in the process of cultural selectivity. We perceive each as frozen, from a temporal distance. Then in all its chapters – historian through history, culturologist or art critic with their own approach, classify this or that epoch, which is obviously important, but the integrity of reality is already defined differently. This community, which constantly generates an active field of thought, reflects time not in a technical sense, but a permanent, eternal one. But paradoxical here is the relation of performance to time. The issue of time suspension is paradoxical in performance, because what you work on and concentrate on is a non-productive sensitivity to time, and at the same time a time-consuming, one-time, non-repetitive act that achieves a certain result at the expense of time. Mutability and discontinuity, at the same time, an endless creative process, art as life. How do you feel about this based on your creative example?

Performance is strongly characterized by such relation towards time. Eternal time characterizes all fields of art and the creator feels this in all cases. Time is of the essence here. Obviously, I have this aspiration intuitively or consciously. When I do theater, the eternal time does not end in the work, but neither does it move from one piece to another. Here I see a third factor that is specifically a theatrical factor, I think. The people who participate with you here in this timebounded performance are not only intersecting in this space, but co-existing in another dimension. Here comes the occurrence of eternal time as a dream phenomenon. It evokes a sense of sacredness towards people who play an important role in my creative work. As if initiation here, becomes communion with the world beyond.

You are the author of "Feminine/Feminine" and the founder of Margo Performance Theatre. A theater that is being formed in different ways with many people. It is interesting how Margo came to you... Also, what is this femininity that becomes idealized in performance for you?



This happened very precisely, Margo came to me in a dream. She had a tattoo on her arm, which, back then, was not common. The tattoo was a symbol of an arrow with two opposite ends, which I later used in the work. I remembered this detail, it was her, this mystical young girl who told me in a dream that she is Margo and that I have to create a theater - her theater. So, when I am asked today who Margo is, whether she is a real or fictional, I find it difficult to answer. Margo is Margarita, the same as a sea pearl, a pearl associated with Aphrodite. The root "Mar" itself is connected with the sea. From the time of Christianity, the name of Aphrodite was disguised as Pelagia, but the names associated with Mar have remained unchanged. Margarita itself is a mystical name. Bulgakov did not use it accidentally in *The Master and Margarita*. As for femininity - in a wide range it is a comprehensive intuitive understanding from banal to sacral, the possibility of free maneuvering as zero, an emptiness that encompasses everything. I realized that it is a powerful mystical force and communication with it is not easy, because it is whole in spectrum and you cannot communicate with it statically. That symbol of controversy from Margo's dream was also reflected in the theater. Mamuka Japaridze, in collaboration with me, did this work, a two-sided arrow logo. This was developed in the theater with the means of a two-stage principle.

I remember your public meeting where you were discussing the concept of nothing. Theater that is nonthematic, nondramatic, and created of nothing. Let us talk about this concept.

This nothingness is a very interesting phenomenon. Something that gets done without you remembering it. You do not put too much ambition or pathos in any object that you use and, therefore, you do not create barriers. This is what my talk "How to create theater out of nothing, when you do not want to do it" was about.

What were the formation stages of Margo performance theater like?

The formation is connected to different historical stages. The first method was the moment of two opposing stages, while the second method was when the stage and the arena were combined. This raises the peripheral attention of the viewer, allowing it to perceive more. We simply replaced the two stages placed opposite each other in one work with two drummers, and this also led to a peripheral, not just one-sided, focus of attention. Then, in the same period, we wanted to cancel the beginning and the end. It was Autogodot, a work that was built on a permanent end. Every action of any actor was the end, with this sensitivity. This created extreme tension. Then we created Margo Arena-2, already built on permanent beginnings. Video projection, red neon lights, fire were also integrated here. This is the first period. Afterwards, I went to the US and upon my return, I continued to work at the ballet school for three years. There was no longer the same character here, the concept of the two stages no longer worked. The work of this period was more etude-based or meditative. I did not want to work only with ballerinas, during this period the work Om Mani Padhme Hum was created, where non-ballet performers Aleko Shugladze and Zurab Rtveliashvili also participated. What was interesting to me at this time was not the prestige associated with the classics that I work with ballerinas at a ballet school, but my wish in experimenting with them. Then there was the period of my stay in America, where I largely shared or modified these experiences in the work I did there. I represented Margo there and continued to develop in such a way. The character of the "Happening Clownery", a character built on a certain

game structure, became more prominent. Then, when I returned, I continued to form Margo's new group at the Academy of Fine Arts, but did not continue to work at full capacity because I found it difficult to adapt quickly. Later my friends Nick Fracaro and Gabriele Schafer came from America, we started working together and this pause was alleviated, but still there was no theater in the intensive work process. A new group was formed in 2020 and from this time, it can be said that Margo renaissance began, all strategies and methodical work are fully updated.

Which work is the most important for you?

All of the works that were created in 2021. The first stage of Margo's formation and the strength and enthusiasm it had in the 90s is a whole different moment. But the turning point is still related to the present. Medea's Meditations stands out in terms of its poetic concept, which has developed a direction that we have been actively pursuing ever since. This wave is continued by Whisper of Aphrodite and the current works ongoing now. Starting in 2020, Performance Theatre was fully rehabilitated and a variety of experimental quests were revealed. Among the latest works, the work for the Tbilisi Online Biennale, made on the Tbilisi Sea, The New Better Easy Life, also stands out, which, due to quarantine, remained only in the form of a video and did not take place live. I consider the works of pseudo-endings and pseudo-beginnings to be important works of the early period.

David Chikhladze's poetic credo in terms of performance theater.

How existent morphs into nonexistent, this is very sad and painful for me, as well as, probably, for everybody. Time that erases the most precious, where this imprint goes. These details are very important for me. Where is this limit and what signs remain. Searching for these signs and symbols left over from existence is my most important credo.

What is freedom for you?

Freedom is a search, a meeting with yourself and giving up on finding ways to find yourself.



ინსტრუქციული რეკურსი



XX საუკუნის 80-90 წლები და

ქართული

თანამედროვე ხელოვნების
აქცია-პროგრამების

საწყისები

მანინა შარბვაძე-შვილი

ქართული თანამედროვე ხელოვნების ისტორიაში XX საუკუნის 80-90-იანი წლები ის პერიოდია, როდესაც ალტერნატიული ძიების კულმინაციური გამოვლინება იწყება. ხელოვნების კონცეპტუალიზაცია და მხატვრული იდეების ფორმირება ინტუიციურ, ცოცხალ შემოქმედებით პროცესებთან თანაკვეთილია. მხატვართა ინდივიდუალური ინტერესი, სიახლეების შეცნობის წყურვილი ერთობლივი მუშაობით ძლიერდება და ამგვარად, ფორმირდება არაფორმალური მხატვრული გაერთიანებები, საწყის ეტაპზე არქივარიუსის ჯგუფი, შემდეგ მე-10 სართული და მარჯანიშვილის სახელოსნო. ამ პერიოდის სახელოვნებო ექსპერიმენტები მოიცავს ტრადიციული ფერწერის მედიუმის გადააზრებას ალტერნატიული მასალებით, ინსტალაციური ხელოვნების, ვიდეოარტის, აქცია-პერფორმანსების დამკვიდრებას. ნიშანდობლივია რომ ფერწერა, ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე კლასიკური დარგი ჯერ კიდევ 70-იანი წლებიდან აფართოვებს გამომხატველობით საზღვრებს და ალტერნატიული ფორმებით ვლინდება ე.წ. 60-იანელთა თაობის ისეთი მნიშვნელოვანი ხელოვანების შემოქმედებაში, როგორიცაა ალექსანდრე (მურა) ბანძელაძე, ავთო ვარაზი, თემო ჯაფარიძე, ოთარ ჩხარტიშვილი და სხვ.

XX საუკუნის 80-90 იანი წლების მიჯნაზე სამხატვრო მიმდინარეობებში ტრანსავანგარდული მიმართებებით ახალი ფორმის, ახლის შეცნობისა და არსებული რეალობის კრიტიკული რეფლექსირების შესაძლებლობამ მხატვრულ პროცესებში პერფორმატიულობის შემოტანაც განსაზღვრა. ხელოვნება, როგორც აზროვნების და გამოხატვის ფორმა პოეტური მგრძობელობის, სოციალური ფორმაციების, რყევების, ქაოსისა და ცოცხალი რომანტიზებული აქტების კალეიდოსკოპად დაარქივდა. საქართველოს თანამედროვე ხელოვნების ისტორიაში პირველ ფიქსირებულ





ამ ძიებების პარალელურად, პერფორმანსი საგამოფენო, საგალერეო კონტექსტს ცდებდა და სანახაობრივი, „შოკური“ ელემენტის შეტანას ურბანულ გარემოში, სოციალური ფონის გათვალისწინებით ცდილობს. კრიზისული 90-იანების საპასუხოდ ხელოვანები ოლეგ ტიმჩენკო და ნიკო ცეცხლაძე მანევრებდად შედეგიანი კოლმეურნეობის მოედნის მიწის-იქვეა გადასასვლელში მიწის ვიტრინაში მოდელეობად შეინიღბნენ. მხატვრები ვიტრინაში – ამგვარი გარდასახვა იმ პერიოდის მყიდვე, მსხვერველი რეალობის მხატვრულ გააზრებადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ, სადაც ამ აქციის კულმინაციური, ტრანსგრესიული აქტი, მიწის კუბის გატეხვა – საზოგადოების ცნობიერების გამოფხიზლებისკენ მიმართულ ნაბიჯად აღიქმება.

80-90-იანი წლების მიჯნაზე განხორციელებული მხატვრული ძიებების ფონზე სოციალურ კონტექსტში საგულისხმოა ოლეგ ტიმჩენკოს გამოფენა-აქცია „თუ მთა ვერ მიდის მუჰამედთან მუჰამედი მიდის მთასთან“. ტიმჩენკომ ამ მოსაზრების ვიზუალიზაცია საკუთარი ნამუშევრების ბაზარში გამოფენით განახორციელა. ხელოვნების ამგვარი ინტერვენცია, პირდაპირი მიახლოება ხალხთან არაერთგვაროვანი პროცესის ნაწილი იყო, რაც ხელოვნების კომერციალიზაციას, ქაოტურ ყოველდღიურობას და ამ ყოველდღიურობაში ხელოვნების თვითრეპრეზენტაციას შეეხებოდა.

ამავე სოციალური კონტექსტის კრიტიკულ-პოეტური გააზრების საინტერესო ნიმუშია დაცარიელებული მაღაზიების დახლებთან დავით ჩიხლაძის ინიციატივით განხორციელებული პოეზიის კითხვის აქ-

პერფორმანსად მამუკა ცეცხლაძის აქცია მიიჩნევა, რომელიც 1988 წელს განხორციელდა მეთათე სართულის ხელოვანთა ჯგუფურ გამოფენაზე თბილისის ისტორიის მუზეუმის, ქარვასლას სივრცეში. თვალახვეული მამუკა ცეცხლაძე, (თვალის ახვევის პროცესში ხელოვანი კოკა რამიშვილი მონაწილეობდა) ღვინის გრაფინითა და ქათმით ხელში, შაჰის მსგავსად კოსტუმირებული ერთგვარ შამანისტურ აქტს ახორციელებდა. ამგვარი აქციით ხელოვანმა ირონიის, თამაშის, მინიშნების და ალუგორიულობის გამომსახველი დროითი მეტაფორა შექმნა. ამ მხრივ უახლესი სახელოვნებო ენის არაფორმალური გამოვლინებებისა და მხატვრული ძიებებისთვის ღია აქტუალური სივრცე იყო თბილისის ისტორიის მუზეუმი, ქარვასლა, სადაც ლიკა მამაცაშვილის ხელმძღვანელობით არაერთ ინიციატივას და გამოფენას შეეწყო ხელი. ქარვასლას საგამოფენო სივრცეში გარკვეული პერიოდულობით გამოფენებს თან ახლდა სხვადასხვა ექსპერიმენტული განხორციელებები და პერფორმაციული აქციები. ამის ერთერთი მაგალითია, გურამ ნიბახაშვილის ფოტოგამოფენა „ვიბე“, სადაც დავით ჩიხლაძის აქცია „KITCHEN DRAMA“ გაიმართა. „KITCHEN DRAMA“ საყოფაცხოვრებო ნივთების ბუნებრივი ხმებითა და რადიოს წყვეტილ, ტალღოვან ბგერებთან ერთად „ქეჩისეულ“ მინიმალისტურ მგრძნობელობას აღვიძებდა. აბსურდის, სანახაობრიობის, ჰეგენინგისთვის სახასიათო განმეორებადობისა და რიტუალობის მთლიანობა იმ დროის ნოვატორულ ექსპერიმენტად ფორმირდა.





TRANS

FORMATION

ციები. გასტრონომიული პოეზია ასე უნდა მან ამ იდეას, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველი პოეტები ზურაბ რთველიაშვილი, გიორგი ბუნდოვანი, შოთა იათაშვილი, ბადრი გუგუშვილი და სხვ. გასტრონომიული პოეზია მძიმე რეალობაში ლავირების, თვითგადარჩენის, შემოქმედებითი იმპულსების მოზღვაგების უკიდურესი და ამავდროულად მგრძნობიარე გამოხატვის ფორმაა, რომელიც რუტინულ რელობაში განდევნილ პოეზიას ჰეფენინგის ფორმით ამკვიდრებდა.

სიტყვის, პოეტური ენის კვლევისადმი ინტერესი პერფორმატიულად გადაითარგმნა ხელოვან თემო ჯავახის შემოქმედებაში. მისი ერთ-ერთი ადრეული პერფორმანსი „ბულბულიონი“ ანბანის სუფის დამზადებას შეეხებოდა. ჯავახის ინტერესი ვიზუალური პოეზიისა და სიტყვაობიექტების მიმართ განვითარდა საერთაშორისო პროექტში TRANS, რომელიც პირველად თბილისში 1997 წელს განხორციელდა. ქართული სუფრის და ევროპული ფურშეტის სინთეზი, ღვინის ჭიქებით დაწერილი სიტყვა TRANS მეტაფორულად სხვადასხვაგვარ შინაარსს გამოხატავს: „ტრანსმისია“ (გადანაცვლება) ერთი ადამიანის მეორესაკენ, „ტრანსლაცია“ ერთი პერიოდიდან მეორეში ტრანსფორმაციის დაუსრულებელ (უნწყვეტ) შესაძლებლობების კვლევისა და ფიქსირებაზე ორიენტირებული.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოში XX საუკუნის ბოლო დეკადებში 80-90-იან წლებში ფორმირებული აქცია-პერფორმანსები ზოგადი ინტუიციური მისწრაფებების, შემოქმედებითი ამროვნების ღია და თავისუფალი ორიენტაციით იკვეთება ხელოვნების რამდენიმე დარგთან. ვიზუალური ხელოვნების ნიაღში დაბადებულ პერფორმატიულობას კრებითად გამოხატავს მამუკა ჯაფარიძის პერფორმანსი “წმინდა სებასტიანი”. მხატვარმა საკუთარ სხეული შეიღება და შემდეგ სამხატვრო ტილოში გახვეული გადაადგილდა ქარვასლიდან აბანოებამდე. ეს პროცესია ერთგვარად ხელოვანის როლის დემისტიფიკაცია და შეიძლება განისაზღვროს.



90-იან წლებში ქართული პერფორმანსი თანაკვეთილია პოეზიის, თეატრის, ანდერგრაუნდ მუსიკის და მოდის სფეროებთან. ანდერგრაუნდ მუსიკისა და პერფორმანსის თანაკვეთის საგულისხმო მაგალითია არტისტების და მუსიკოსების ერთობლივი კონცერტი, რომელიც თბილისის პირველ დამოუკიდებელ გალერეაში, „ალტერნატიული ხელოვნების გალერეა“, გაიმართა გალერეის დამფუძნებლის, ხელოვან დავით ჩიხლაძის ორგანიზებით 1989 წელს. დე-მუსიკა მონაწილე მხატვრების ნიკო ცეცხლაძის, ვოკა რამიშვილის, შალვა ფანცულაიას და შალვა ლომსაძის შესრულებით მუსიკალური უღერადობის დეკონსტრუქციას გულისხმობდა და ბგერის სხვადასხვა თავისუფალ გამოვლინებებს აფიქსირებდა. მუსიკასთან ერთად პერფორმანსი აქტიურად გადაიკვეთა პოეზიასთან.

პოეტური პერფორმანსის ისტორიულად მნიშვნელოვანი მოვლენა განხორციელდა ქარვასლაში 1993 წელს, სადაც ქართველი პოეტი ზურაბ რთველიაშვილი დადა მეფე გახდა დადა მეფის საპრემიერენტო არჩევნებზე. 1994 წელს დავით ჩიხლაძე აარსებს მარგო კორაბლევას პერფორმანსის თეატრს, რომელიც კოლექტიური თანამშრომლობის, თეატრისა და პერფორმანსის თანაკვეთაზე ექსპერიმენტულად ვითარდება და დღემდე მნიშვნელოვან ნიშას იკავებს.



ზოგადად, პერფორმანსი, ერთ-ერთი ყველაზე ღია სახელოვნებო ფორმაა. მედიუმი, რომელიც გაერთიანების, დეკონსტრუქციის, სინთეზის და ფიქსირების მეშვეობით ცოცხალ პროცესზე აქცენტირებული. თავისი ეფემერული და ამავდროულად მძაფრი გამოხატულებით ის თანაკვეთილია როგორც სამემსრულებლო, ისე ვიზუალური ხელოვნების სხვადასხვა პლასტთან. ნიშანდობლივია, რომ საქართველოში XX საუკუნის ბოლო დეკადებში განხორციელებული პერფორმატიული აქციები და პერფორმანსი დასავლეთში განვითარებული ამავე პრაქტიკებისგან განსხვავებით ნაკლები გამძაფრებით ხასიათდებოდა და მეტწილად იდეალიზებული თვითგამოხატვის, ხშირად კი მსუბუქი კრიტიკისა და ირონიის მატარებელი იყო.



HISTORICAL PERSPECTIVES

MARIAM SHERGELASHVILI

80-90s OF THE
XX CENTURY AND
THE BEGINNINGS OF
GEORGIAN
CONTEMPORARY

ART ACTION-PERFORMANCE



In the history of Georgian contemporary art, the 80s and 90s of the XX century is the period when the culmination of alternative search begins. The conceptualization of art and the formation of artistic ideas are intertwined with intuitive, vivid creative processes. The individual interest of the artists, the thirst for novelty is strengthened by joint work and thus, informal artistic associations are formed, initially an "Archivarius", "10th Floor", "Marjanishvili Theater Artists' Group". The artistic experiment of this period entails rethinking the traditional painting medium with alternative materials, installation art, video art, action as performance. It is noteworthy that painting, one of the most classic fields of art since the 70s, expands the boundaries of expression and manifests itself in alternative forms. In the works of such important artists of the 60s generation as Alexander (Shura) Bandzeladze, Avto Varazi, Temo Japaridze, Otar Chkhartishvili and others.

